

## კორუფციის და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა

ძვირფასო კოლეგებო,

ENERGO-PRO a.s. (შემდგომში „კომპანია“), ჯგუფში შემავალ კომპანიებთან ერთად (შემდგომში „ჯგუფი“)<sup>1</sup> ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ჰიდროენერგეტიკის წამყვანი ოპერატორი, ელექტროენერჯის დისტრიბუტორი და მიმწოდებელია, რომელიც ემსახურება ენერჯიაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას და აქტიურად განვითარებადი რეგიონის საჭიროებებს.

წლიურად თითქმის 3 ტერავატ ენერჯიას გამოვიმუშავებთ და 2 მილიონზე მეტ ქსელის მომხმარებელს ვემსახურებით, ვახდენთ 11 ტერევატ ელექტროენერჯის დისტრიბუციას საქართველოსა და ბულგარეთში. ჯგუფში დაახლოებით 9,000 კაცია დასაქმებული. ჩვენი საინჟინრო ოპერაციები, მათ შორის Litostoj Engineering a.s. და Litostoj Power d.o.o., შეიმუშავენ და ამზადებენ ჰიდრო ტურბინებს და ჰიდროტექნიკური მოწყობილობებს, 100 წლიანი საწარმოო ტრადიციების საფუძველზე.

შეგვიძლია ვიამაყოთ ჯგუფის მიღწევებით და დღევანდელი მდგომარეობით. ეს თითოეული ჩვენგანის ბიზნესია და ჩვენ ის უნდა დავიცვათ.

უნდა გავიაზროთ, რომ მზარდ ბაზარზე და რეგულირებად სექტორებში მუშაობისას და სხვადასხვა მომწოდებელთან, მომხმარებელთან და სხვა სუბიექტებთან ურთიერთობისას, არსებობს კორუფციის, ფულის გათეთრების და სხვა უკანონო ქმედებების რისკები. ეს რისკები იქმნება როგორც საჯარო მოხელეებთან, ასევე ბიზნეს პარტნიორებთან ურთიერთობისას.

ერთი ადამიანის კორუმპირებულობამ შესაძლოა სერიოზული შედეგები გამოიწვიოს და მოახდინოს ყველა ჩვენგანის დისკრედიტირება, ინვესტორების და მსესხებლების თვალშიც.

თუმცა, თუ ყველანი პატიოსნად ვიმუშავებთ და სხვები დაინახავენ ჩვენს პატიოსნებას, ერთად რაიმე ღირებულს შევქმნით. ეს ღირებულება უნდა დავიცვათ და განვაავითაროთ საქმიანობის ყველა სფეროში.

მიზნის მისაღწევად, ყველამ უნდა დავიცვათ ამ პოლიტიკის მოთხოვნები. ამიტომაც, გთხოვთ გამონახოთ დრო და გაეცნოთ ამ დოკუმენტს. კოლეგები ჩაგიტარებენ ტრენინგს და მოგცემენ კითხვების დასმის და კომენტარების გაკეთების შესაძლებლობას. გთხოვთ ეს დოკუმენტი გამოიყენოთ ყოველდღიურ საქმიანობაში როგორც რესურსი, რომელიც გეხმარებათ ეთიკური საკითხების გადაჭრასა და კეთილსინდისიერად მუშაობაში.

ჯგუფის მომავალი და წარმატება თითოეული ჩვენგანის პატიოსნებაზეა დამოკიდებული.

პატივისცემით,

იარომირ ტესარი

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

<sup>1</sup> ჯგუფში შედის DK Holding Investments, s.r.o., ENERGO-PRO a.s.-ის ერთადერთი და უშუალო აქციონერი და მისი ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი შვილობილი კომპანიები.

ENERGO-PRO a.s.

## 1. შესავალი

ჯგუფში შემავალ კომპანიებს ურთიერთობა აქვთ საჯარო და კერძო სექტორის მრავალ სუბიექტთან. ურთიერთობისას, არსებობს კორუფციის და ფულის გათეთრების რისკი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ურთიერთობა შემდეგ პირებთან და სუბიექტებთან:

- ენერგოსექტორში ინტერესის მქონე პოლიტიკოსები;
- ლიცენზიის და ნებართვის გამცემი ორგანოები;
- განახლებადი ენერჯის ტარიფების, ბონუსების და სხვა სისტემების ადმინისტრირების ორგანოები;
- კომუნალური მომსახურების ვალდებულებების გამანაწილებელი ორგანოები;
- საგადასახადო ორგანოები;
- ბაზრის ოპერატორები;
- ბაზრის ლიბერალიზაციაში მონაწილე ორგანიზაციები;
- მომხმარებლები, რომლებიც ყიდულობენ გენერირებულ ელექტროენერჯიას ან დისტრიბუციის მომსახურებებს (ახალი მიერთებების და ხელახლა მიერთებების ჩათვლით);
- დისტრიბუციისთვის ელექტროენერჯის მომწოდებლები;
- მოწყობილობების, საქონლის და მომსახურებების მომწოდებლები;
- სამშენებლო კონტრაქტორები;
- პროფესიონალური მომსახურებების პროვაიდერები;
- ლობისტები;<sup>2</sup> და
- სესხის ან სადაზღვევო პოლისსა და ფონდში კაპიტალდაბანდების პროვაიდერები.

ამ პოლიტიკის მიზანია ზემოთჩამოთვლილ მნიშვნელოვან სფეროებში კორუფციის და ფულის გათეთრების რისკების აღმოფხვრა და შემცირება. პოლიტიკა ვრცელდება ჯგუფის ყველა მენეჯერზე (მათ შორის დირექტორებზე და სხვა მოხელეებზე), თანამშრომლებზე, სხვა კოლეგებზე (შემდგომში “თანამშრომლები”) და ზოგიერთ ასოცირებულ პირზე (იხ. ნაწილი 6).

## 2. მიზანი

პოლიტიკის მიზანია:

- თანამშრომლების და ასოცირებული პირების კანონიერად და პატიოსნად მოქმედების უზრუნველყოფა;
- თანამშრომლებსა და ასოცირებულ პირებს შორის კეთილსინდისიერების ამაღლების ხელშეწყობა, ჯგუფის რეპუტაციის ზრდა და ურთიერთობა საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან;
- კორუფციის და მისი პრევენციის გზების განმარტება; კორუფციის ფაქტების გამოვლენის და გადაჭრის საშუალებების შექმნა; და
- ფულის გათეთრების შემთხვევების გამოვლენის და გადაჭრის გზების განსაზღვრა.

## 3. პოლიტიკის განხორციელება და მართვა

კორუფციის და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კომიტეტი (შემდგომში “კომიტეტი”) პასუხისმგებელია პოლიტიკის დანერგვაზე და განხორციელებაზე, ტრენინგის

<sup>2</sup> ლობისტების გამოყენება თავისთავად ამ პოლიტიკით აკრძალული არ არის. თუმცა, ამ სენსიტიურ არეალში აუცილებელია სიფრთხილის გამოჩენა, ე.ი. მხოლოდ რეგისტრირებული ლობისტებით სარგებლობა, სადაც რეგისტრაცია მოითხოვება მოქმედი კანონმდებლობით.

ზედამხედველობაზე და შიდა მოკვლევების ანგარიშების განხილვაზე. კომიტეტი სამი წევრისგან შედგება: დირექტორთა საბჭოს ერთი წევრი, ჯგუფის ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი და ჯგუფის მთავარი იურისტი.

ადამიანური რესურსების დეპარტამენტი თანამშრომლებისთვის აწყო რეგულარულ ტრენინგებს, მათ შორის ელექტრონულ ტრენინგებს, პოლიტიკის მოთხოვნებში სრულად გასარკვევად (იხ. ნაწილი 8) და შეხვედრებს პოლიტიკის განხორციელების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

მთავარი იურისტი რეგულარულად აფასებს ჯგუფში კორუფციის და ფულის გათეთრების რისკებს, რათა კომიტეტს შესთავაზოს შესაბამისი პრევენციული ზომები. მთავარი იურისტი ხელს უწყობს პოლიტიკის განმარტებას და ინტერპრეტაციას და მინიმუმ წელიწადში ერთხელ ატარებს მიმოხილვას, კომიტეტისთვის განახლებული ინფორმაციის მისაწოდებლად.

#### 4. რა არის კორუფცია?

კორუფცია გულისხმობს პირის პიერ (რომელიც მოქმედებს უშუალოდ, ან შუამავლის მეშვეობით) სხვა პირისთვის რაიმეს გადაცემას, საჩუქრის ან საფასურის სახით, უკანონო ქმედების განხორციელების სანაცვლოდ. კორუფცია ასევე ნიშნავს მეორე პირის მიერ ნივთის/საჩუქრის მიღებას. ზოგადად, არ აქვს მნიშვნელობა მიმღები საჯარო მოხელეა (ადგილობრივი ან უცხოელი), ბიზნეს პარტნიორი, თანამშრომელი თუ აგენტი. ასევე არ აქვს მნიშვნელობა შესაბამისი ნივთი (ქრთამი) ფინანსური სახისაა თუ სხვა სახის და რეალურად გადაცემულია თუ მიღებული. საკმარისია მოხდეს ქრთამის შეთავაზება, დაპირება, მოთხოვნა ან დათანხმება. ქრთამის მიმღების (ან სხვა პირის) უკანონო ქმედება ნიშნავს, რომ ეს პირი მოქმედებს ცუდი განზრახვით, ან არასამართლიანად რომელიმე პირის მიმართ.

განმარტებითი კითხვა-პასუხები მოცემულია N 1 დანართში.

#### 5. რა არის ფულის გათეთრება?

ფულის გათეთრება გულისხმობს კრიმინალური ქმედების შედეგების გარდაქმნას კანონიერ ქონებაში ან აქტივობაში და ამ გზით ქმედების ნამდვილი წყაროს დაფარვას. ხშირად, ადგილობრივი კანონმდებლობით, ფულის გათეთრება წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს. ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს ფულის გათეთრებად:

- ქონების გადაცემა, როცა ცნობილია, რომ აღნიშნული ქონება გამომდინარეობს კრიმინალური ქმედებიდან, ან ქმედებაში მონაწილეობიდან, ქონების უკანონო წარმომავლობის დამალვის ან შენიღბვის მიზნით; ან კრიმინალურ ქმედებაში ჩართული პირის ხელშეწყობა ქმედების სამართლებრივი შედეგების თავის არიდებაში;
- ქონების ნამდვილი წყაროს, სახეობის, კუთვნილების, უფლებების, საკუთრების უფლების დამალვა ან შენიღბვა, როცა ცნობილია, რომ ქონება გამომდინარეობს კრიმინალური ქმედებიდან ან ქმედებაში მონაწილეობიდან;
- ქონების დაუფლება, ფლობა ან სარგებლობა, როცა მიღების დროს ცნობილია, რომ ქონება გამომდინარეობდა კრიმინალური ქმედებიდან ან ქმედებაში მონაწილეობიდან; და
- ზემოთ ჩამოთვლილ ნებისმიერ ქმედებაში მონაწილეობა, კავშირი, ქმედების მცდელობა, ან ქმედებაში დახმარება და ხელშეწყობა.

N2 დანართში მოცემულია საექვო ტრანზაქციების / ფულის გათეთრების ინდიკატორები.

## 6. ასოცირებული პირები

ჯგუფში შემავალმა კომპანიებმა (ე.ი. იურიდიულმა პირებმა, არა კერძო პირებმა) შესაძლოა ჩაიდინონ სისხლის სამართლის დანაშაული, მათთან ასოცირებული პირების კორუფციის შედეგად. ასოცირებული პირები შეიძლება იყვნენ თანამშრომლები ან სხვა პირები, კომერციული აგენტები ან ლობისტები, რომლებიც მომსახურებას უწევენ ჯგუფში შემავალ კომპანიას. ასეთი სიტუაცია შესაძლოა შეიქმნას მაშინ, როდესაც ასოცირებული პირი ქრთამს აძლევს სხვა პირს, ჯგუფის კომპანიისთვის ბიზნეს უპირატესობის მოპოვების ან შენარჩუნების მიზნით.

ბიზნეს უპირატესობის მაგალითია მარეგულირებლის მიერ ხელსაყრელი სავაჭრო პირობების შექმნა, ან ბიზნეს პარტნიორის მიერ კონტრაქტის გაფორმება, რომელიც სარგებლის მომტანია ჯგუფისთვის (ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულება). ასოცირებული პირი შესაძლოა ფიქრობდეს, რომ მოქმედებს ჯგუფის ინტერესებში, თუმცა რეალურად ჯგუფში შემავალ კომპანიას შესაძლოა დაეკისროს კორპორაციული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, რასაც შედეგად მოყვება მნიშვნელოვანი ფინანსური ჯარიმა ან კომპანიის ლიკვიდაცია.

ასოცირებულ პირთან კონტრაქტის გაფორმება უნდა მოხდეს მხოლოდ დეტალური სქრინინგის შემდეგ, რომლის მიზანია შემოწმდეს:

- ასოცირებული პირის მიერ გასაწევი მომსახურებების მოცულობა და სახეობა;
- მომსახურებების მიღების მიზანშეწონილობა;
- ასოცირებული პირის ვინაობა და კეთილსინდისიერება; და
- ინიციატივის ზოგადი ლეგიტიმურობა.

ჯგუფთან თანამშრომლობის დაწყებამდე, ასოცირებული პირი ვალდებულია:

- გაეცნოს პოლიტიკას და ხელი მოაწეროს პოლიტიკის გაცნობის ფორმას (N3 დანართი) (ან ექვივალენტურ საბუთს ელექტრონულად); და
- ოფიციალურად დაუდასტუროს ჯგუფში შემავალ კომპანიას, რომ არ ჩაერთვება კორუფციაში.

ჯგუფში შემავალი კომპანიის მენეჯმენტს შეუძლია შეზღუდოს ზემოაღნიშნული მოთხოვნის გამოყენება რისკის დონის პროპორციულად, რომლის წინაშეც დგას შესაბამისი ასოცირებული პირი კომპანიასთან მიმართებაში, ამ პირის მიერ გასაწევი მომსახურებების სახეობის ან მათი ღირებულების მიხედვით.

ჯგუფში შემავალი კომპანიის ასოცირებული პირები ვალდებულნი არიან იმოქმედონ პატიოსნად და მიმართონ შესაბამის ზომებს კორუფციის პრევენციისთვის.

საჭიროებისამებრ, კომპანიასა და ასოცირებულ პირს შორის გაფორმებულ კონტრაქტს ხელს აწერს კომპანიის ორი წარმომადგენელი. „ოთხი თვალის პრინციპი“ შეამცირებს ამ პოლიტიკის სტანდარტებთან კონტრაქტის შეუსაბამობის რისკს.

## 7. აუცილებელი უნარ-ჩვევები და ქცევები

### საჩუქრები და წარმომადგენლობითი ხარჯები

საჩუქრების გადაცემა და მიღება ნებადართულია, თუ ისინი გონივრული, რაციონალური, მიზნების პროპორციულია და სავარაუდოდ მიაღწევენ მიზანს. თუმცა, გარკვეული მოსაზრებები გაჩნდება იმ შემთხვევებში, სადაც ტრანსაქცია ხორციელდება მხოლოდ რაიმე საჩუქრის ან წარმომადგენლობითი ხარჯის შედეგად, ან მათთან დაკავშირებით.

იმისათვის, რომ დადგინდეს, აკმაყოფილებს თუ არა კრიტერიუმს კონკრეტული საჩუქარი ან წარმომადგენლობითი ხარჯი, თანამშრომელმა ან ასოცირებულმა პირმა უნდა გაითვალისწინოს შესაბამისი გარემოებები (მათ შორის მონაწილე პირები, ადგილი და დრო) და მიზეზები.

აკრძალულია საჩუქრის გადაცემა ან მიღება ფულის სახით (ნაღდი ბული, საბანკო გადარიცხვა, წინასწარ გადახდილი ბარათები და სხვ.) ან ექვივალენტური ნივთების სახით (ოქრო, საიუველირო ნაწარმი, ვაუჩერები, ფინანსური დოკუმენტები და სხვ.).

საჩუქრის ან წარმომადგენლობითი ხარჯის გადაცემა ან მიღება:

- რომლის ღირებულება აღემატება 75 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში), უნდა ეცნობოს სუპერვაიზერს;
- რომლის ღირებულება აღემატება 150 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში), უნდა დამტკიცდეს სუპერვაიზერის მიერ; ან
- რომლის ღირებულება აღემატება 300 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში), არ უნდა მოხდეს; ან, მიღების შემთხვევაში, უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს სუპერვაიზერს შემდგომი დონაციის მიზნებისთვის.

ჯგუფში შემავალი კომპანიის მენეჯმენტს შეუძლია (კომიტეტთან კოორდინაციით) დააწესოს უფრო დაბალი ლიმიტები, თუ ამას მოითხოვს კანონმდებლობა, რომლის შესაბამისადაც დაარსებულია და მოქმედებს კომპანია.

საჩუქრების გაცემის და მიღების პროცედურები მოცემულია N4 დანართში.

ჯგუფში შემავალი კომპანიის თითოეული თანამშრომელი და ასოცირებული პირი ვალდებულია აწარმოოს დოკუმენტაცია-აღრიცხვა საჩუქრების გაცემასთან და მიღებასთან დაკავშირებით. ამ დოკუმენტებში/აღრიცხვაში ფიქსირდება ფაქტიურად გაწეული ხარჯები.

### **სპონსორობა და შეწირულობები ასოციაციებს და ორგანიზაციებს**

ამ პოლიტიკით, აკრძალულია რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან მოძრაობის სპონსორობა.

სპონსორობა და შეწირულობები ასოციაციებს და ორგანიზაციებს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სათანადო სკრინინგის შემდეგ, რათა შემოწმდეს:

- სპონსორობის ან კონტრიბუციის მოცულობა და სახეობა;
- სპონსორობის ან კონტრიბუციის დასაბუთება;
- მიმღების ვინაობა და კეთილსინდისიერება; და
- ინიციატივის ზოგადი ლეგიტიმურობა.

სპონსორობის ან კონტრიბუციის ფორმა და დრო უნდა შეესაბამებოდეს ამ პოლიტიკის სტანდარტებს.

### **სააღრიცხვო დოკუმენტების მომზადება და კონტროლი**

ჯგუფში შემავალ კომპანიებში მოქმედებს შიდა აუდიტის ეფექტური სისტემა.

ჯგუფი აწარმოებს სააღრიცხვო კონტროლს, რათა უზრუნველყოს, რომ ფინანსური ანგარიშები შეესაბამება საყოველთაოდ მიღებულ სააღრიცხვო პრინციპებს და მოქმედ კანონმდებლობას და რეგულაციებს.

შიდა კონტროლის სისტემებში შედის კონტროლის სპეციფიური საშუალებები სხვადასხვა ორგანიზაციულ დონეზე.

## 8. ტრეინინგი

ეს დოკუმენტი გამოქვეყნდება კომპანიის ვებგვერდზე და დაეგზავნება ყველა ახალ თანამშრომელს, რომელმაც უნდა შეავსოს დოკუმენტის გაცნობის ფორმა, მე-3 დანართის შესაბამისად (ან ექვივალენტური ელექტრონული ფორმით დაადასტუროს გაცნობა).

ადამიანური რესურსების დეპარტამენტი უზრუნველყოფს ტრეინინგების ჩატარებას პოლიტიკის მოთხოვნების დაცვის საკითხზე. ადამიანური რესურსების დეპარტამენტი კომიტეტს მინიმუმ წელიწადში ერთხელ, ან მოთხოვნისამებრ წარუდგენს ტრეინინგების შეჯამებას.

ტრეინინგის პროგრამა იყოფა შემდეგი დონეების მიხედვით:

- მენეჯმენტი და თანამშრომლები, რომლებიც ყველაზე მეტად არიან კორუფციის და ფულის გათეთრების რისკის ქვეშ;
- სხვა თანამშრომლები.

ტრეინინგის, მათ შორის ელექტრონული კურსების გავლა ყველა თანამშრომლისთვის სავალდებულოა.

ტრეინინგში ძირითადად აქცენტი კეთდება მოქმედ კანონმდებლობაზე, პოლიტიკის მოთხოვნებზე და კორუფციის და ფულის გათეთრების პრევენციის პრაქტიკულ მეთოდებზე.

ადამიანური რესურსების დეპარტამენტი უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის მიერ ტრეინინგის გავლას მინიმუმ ყოველ სამ წელიწადში ერთხელ.

## 9. ანგარიშგების ვალდებულება და შიდა მოკვლევები

ყველა თანამშრომელი და ასოცირებული პირი ვალდებულია დააფიქსიროს დარღვევები, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა და რომლებიც შესაძლოა წარმოადგენდნენ კორუფციას ან ფულის გათეთრებას.

ინფორმაციის დაფიქსირების პროცესი კონფიდენციალურია და განმცხადებელი სრულად არის დაცული უსამართლო მოპყრობისგან.

ინფორმაციის დაფიქსირება ხდება N5 დანართში აღწერილი პროცედურის შესაბამისად.

თითოეული განცხადების საფუძველზე, დაიწყება მოკვლევის პროცედურა N6 დანართის შესაბამისად.

## 10. შედეგები

ჯგუფს აქვს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა კორუფციის და ფულის გათეთრების მიმართ<sup>3</sup>. კორუფციაში ან ფულის გათეთრებაში ჩართულ ნებისმიერ თანამშრომელს დაეკისრება დისციპლინარული პასუხისმგებლობა და შესაძლოა გათავისუფლდეს სამსახურიდან. ასოცირებულ პირთან გაფორმებული კონტრაქტი შესაძლოა შეწყდეს.

თუ ჯგუფში შემავალი კომპანიისთვის ცნობილი გახდება კორუფციის ან ფულის გათეთრების შემთხვევის შესახებ, მას შესაძლოა ქონდეს სამართლებრივი ვალდებულება ფაქტის შესახებ აცნობოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს. ჯგუფში შემავალი კომპანია ყოველთვის გაითვალისწინებს ამ ვალდებულებას.

## 11. მონაცემთა დაცვა

N7 დანართში აღწერილია ჯგუფში შემავალი კომპანიების უფლება, როგორც მონაცემთა ადმინისტრატორებმა მოახდინონ თანამშრომლების და ასოცირებული პირების მონაცემების დამუშავება, რომლებიც აფიქსირებენ დარღვევას (როგორც განმარტებულია ზემოთ) ან ჩართულნი არიან დარღვევის საფიქსირების შედეგად დაწყებულ შიდა მოკვლევაში.

## 12. ძალაში შესვლა

პოლიტიკა ძალაში შედის 2019 წლის 31 დეკემბრიდან.

პოლიტიკის დანართები:

1. კითხვა-პასუხები კორუფციის საკითხებზე
2. ფულის გათეთრების ფაქტების ინდიკატორები
3. პოლიტიკის გაცნობის დადასტურება
4. საჩუქრების და წარმომადგენლობითი ხარჯების კლასიფიცირება
5. დარღვევების დაფიქსირების პროცედურა
6. შიდა მოკვლევის პროცედურა
7. მონაცემთა დაცვა

<sup>3</sup> ჯგუფში შემავალ კომპანიებს, რომლებიც ითვლებიან “ვალდებულ” სუბიექტებად ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ადგილობრივი კანონმდებლობის კონტექსტში, მოეთხოვებათ დაიცვან ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სპეციფიური მოთხოვნები.

## **დანართი 1**

### **კითხვა-პასუხები კორუფციის საკითხებზე**

#### **რა არის ქრთამი?**

მოცემულ კონტექსტში, ქრთამი არის ფინანსური ან სხვა სახის უპირატესობა.

ფინანსური უპირატესობა ნიშნავს ნაღდ ფულს, თუმცა შესაძლოა ასევე ნიშნავდეს საბანკო გადარიცხვას, წინასწარ გადახდილ ბარათებს, სასაჩუქრე ბარათებს, სესხებს, ახალ ან გაზრდილ აქტივს, შემცირებულ ვალდებულებას, აქტივით თავისუფალ სარგებლობას, პირად ქონებას (მაგ. მანქანა, ძვირფასეულობა, ძვირფასი მინა ან ფაიფური), უძრავი ქონება (მაგ. საცხოვრებელი ბინა), მოგზაურობა ქვეყნის შიგნით ან საზღვარგარეთ, ან გართობა (მაგ. კონცერტზე, სპორტულ ღონისძიებაზე ან კონფერენციაზე მოსაწვევი/ბილეთი).

სხვა უპირატესობებში შედის არაფინანსური ღირებულების უპირატესობები, რომლებიც შესაძლოა მაინც აკმაყოფილებდეს გარკვეულ საჭიროებას ან სურვილს, როგორცაა დასაქმების, დაწინაურების ან სექსუალური ხასიათის შეთავაზება.

#### **ვინ შეიძლება იყოს ჩართული კორუფციაში?**

საერთაშორისო ანტიკორუფციული კანონმდებლობა და ეს პოლიტიკა ვრცელდება საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებზე (ადგილობრივი და უცხოელი საჯარო მოხელეები), ასევე კერძო სექტორზე (ბიზნესში ჩართული პირები, თანამშრომლები და კომერციული აგენტები).

ამ პირებისგან მოელიან კეთილსინდისიერად, სანდოდ ან/და მიუკერძოებლად მოქმედებას. თუ ეს პირები არასწორად იქცევიან კორუფციის შედეგად, ამ შემთხვევაში როგორც ქრთამის მიმცემი, ასევე ქრთამის ამღები მონაწილეობენ კორუფციაში.

#### **არის თუ არა კორუფცია სისხლის სამართლის დანაშაული?**

არის. ამასთან, ქრთამის მიმცემის გამო შესაძლოა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს იმ კომპანიასაც, რომელთანაც იგი კავშირშია, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

#### **აქვს თუ არა მნიშვნელობა ვინ იღებს ქრთამს?**

არა. არ აქვს მნიშვნელობა, უკანონოდ იქცევა ქრთამის მიმღები თუ სხვა პირი.

ასევე არ აქვს მნიშვნელობა, რეალურად შეუძლია თუ არა ქრთამის მიმღებს გავლენა მოახდინოს საჯარო მოხელის გადაწყვეტილებაზე ან ქმედებაზე. შესაბამისად, ე.წ. გავლენით სარგებლობა შედის საერთაშორისო ანტიკორუფციული კანონმდებლობის და ამ პოლიტიკის კომპეტენციაში.

#### **აუცილებელია თუ არა ქრთამი ფაქტიურად იყოს მიცემული ან აღებული?**

არა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქრთამი ფაქტიურად არ არის მიცემული ან აღებული, შეთავაზება, დაპირება, მოთხოვნა, ან მიღებაზე თანხმობა თავისთავად არის კორუფცია და სისხლის სამართლის დანაშაული.



### **შეიძლება თუ არა, რომ მცირე მოცულობის ფინანსური ან სხვა უპირატესობა ჩაითვალოს ქრთამად?**

შეიძლება, თუ ფინანსური ან სხვა უპირატესობა გაიცემა უკანონო ქმედების სანაცვლოდ, როგორც აღწერილია ზემოთ.

### **შეიძლება თუ არა, რომ საჯარო მოხელეს გადაეცეს საჩუქარი მადლობის ნიშნად?**

როგორც წესი, თანამშრომლებმა და ასოცირებულმა პირებმა არ უნდა გადასცენ საჩუქრები საჯარო მოხელეებს.

თუმცა, შესაძლოა საჯარო მოხელისთვის საჩუქრის მადლობის ნიშნად გადაეცემა მოხდეს, თუ საჩუქარი:

- სიმბოლურია და რეალურად მცირე ღირებულებისაა;
- შეთავაზებულია გამჭვირვალედ;
- არ მოელის თანამდებობის პირი; და
- გადაეცემა მხოლოდ შესაბამისი ქმედებების დასრულების შემდეგ (არა დაწყებამდე).

ამ პოლიტიკით, აკრძალულია შემდეგი საჩუქრების გადაცემა:

- ნაღდი ფული ან ექვივალენტი;
- საათი
- საკოლექციო კალამი
- სათხილამურო აღჭურვილობა; და
- საზღვარგარეთ მგზავრობა ან გათავსება.

საჯარო მოხელისთვის საჩუქრის გადაცემამდე, გთხოვთ გაიაროთ შიდა კონსულტაცია.

### **რა სახის საჩუქარია ნებადართული?**

იხილეთ დანართი N4, სადაც ჩამოთვლილია ამ პოლიტიკით ნებადართული საჩუქრები. ასევე მითითებულია, რა სახის ფინანსური სახსრების შეთავაზებაზე (ან მიღებაზე) საჭირო დაფიქსირება ან/და თანხმობის აღება.

ზოგადად, თანამშრომლებმა და ასოცირებულმა პირებმა კარგად უნდა გაიაზრონ საჩუქრის გადაცემის გარემოება და დრო.

საჩუქრის ან წარმომადგენლობითი ხარჯის მიზანი ყოველთვის უნდა იყოს:

- ბიზნეს კონტაქტების დამყარება ან შენარჩუნება;
- ჯგუფში შემავალი კომპანიის იმიჯზე და რეპუტაციაზე ზრუნვა; და
- ჯგუფში შემავალი კომპანიის საქონლის ან მომსახურებების რეკლამირება.

ასევე გასათვალისწინებელია საჩუქრის მიმღები პირის მიზანი. უნდა არსებობდეს მტკიცებულება, რომ მონაწილე მხარეები მოქმედებენ კარგი განზრახვით და არა კანონდარღვევის განზრახვით.

საბოლოო ჯამში, საჩუქრის გადაცემამდე ან წარმომადგენლობითი ხარჯის შეთავაზებამდე, გადაცემამდე ან მიღებამდე, უნდა შემოწმდეს შემდეგი:

- მიმდინარეობს ან იგეგმება ჯგუფში შემავალი კომპანიის ტენდერი ან მსგავსი აქტივობა, რომელშიც მონაწილეობს საჩუქრის შემთავაზებელი;

- მიმდინარეობს ან იგეგმება საჩუქრის ადრესატის ტენდერი ან მსგავსი პროცესი, რომელშიც მონაწილეობს ჯგუფში შემავალი კომპანია; და
- რომელიმე ზემოთჩამოთვლილი სუბიექტის მიერ წარსულში მოხდა საჩუქრის მიღება, ან მათთვის შეთავაზება.

### **შეიძლება თუ არა, რომ მესამე მხარის მეშვეობით ფინანსური ან სხვა უპირატესობის მიცემა ჩაითვალოს ქრთამად?**

შეიძლება. კორუფციის ფაქტი შეიძლება დადგეს, როდესაც ქრთამად მიჩნეული უპირატესობა გაიცემა მესამე მხარის მეშვეობით. ეს შესაძლოა იყოს კომპანია, რომელიც მომსახურებებს უწევს ქრთამის მიმცემ კომპანიას, მხოლოდ ქრთამის გადასაცემად საბოლოო ადრესატისთვის. აღნიშნულში ხშირად შედის შუამავალი კომპანიის მიერ ფიქტიური მომსახურებების გაწევა.

### **დარღვევა, რომელშიც მონაწილეობს კერძო სექტორის წარმომადგენელი**

დარღვევის მაგალითები:

- ტენდერში უპირატესობების მინიჭება ტენდერის იმ მონაწილისთვის, რომლის შეთავაზებაც არ არის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელი;
- მომწოდებლის შერჩევა არა მყარი ბიზნეს პირობების, არამედ ბუნდოვანი, ან შემთხვევითი კრიტერიუმების საფუძველზე;
- კონტრაქტის გაფორმება მხარისთვის მომგებიანი პირობებით; და
- სრულად ან ნაწილობრივი ფიქტიური მომსახურებების შესყიდვა.

### **დარღვევა, რომელშიც მონაწილეობს საჯარო სექტორის წარმომადგენელი**

დარღვევის მაგალითები:

- კონტრაქტის გადაცემა სატენდერო პროცედურებში, უფრო ხელსაყრელი ტარიფი ან ქსელის უფრო მაღალი გადასახადები, მოქმედი წესების დარღვევით;
- მოქმედი წესების დარღვევისთვის გათვალისწინებული საჯარიმო სანქციებიდან გათავისუფლება;
- სასამართლოში მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანა, გარდა იმ შემთხვევისა, რომლებიც მოითხოვება კანონით, ან დავის ფაქტების საფუძველზე; და
- კანონიერი საფუძვლის გარეშე კონკურენტის საგადასახადო აუდიტის ჩატარება.

### **ნებადართულია თუ არა ხელშეწყობისთვის თანხის გადახდა?**

ხელშეწყობისთვის თანხის გადახდა არის საჯარო მოხელისთვის თანხის გადახდა, არსებული მოვალეობის/ფუნქციის შესრულებისთვის, ან ამ ფუნქციის შესრულების დაჩქარებისთვის. აკრძალულია ამ პოლიტიკით.

### **დაეკისრება თუ არა პასუხისმგებლობა კომპანიას, თუ მისი თანამშრომელი ან ასოცირებული პირი ჩართულია კორუფციაში?**

დიახ. ზოგიერთი ქვეყნის (მაგალითად ჩეხეთის რესპუბლიკის) კანონმდებლობით, კომპანიას შესაძლოა დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, თუ თანამშრომელი ან სხვა პირი რომელიც მას უწევს მომსახურებას (როგორცაა კომერციული აგენტი ან ლობისტი) ქრთამს მიცემს მეორე პირს, კომპანიისთვის ბიზნეს უპირატესობის მოპოვების ან შენარჩუნების მიზნით.

**რა გავლენას ახდენს კორუფცია თანამშრომლებზე და ასოცირებულ პირებზე?**

კორუფციაში მონაწილე ნებისმიერ თანამშრომელს დაეკისრება დისციპლინარული სანქცია და შესაძლოა გათავისუფლდეს სამსახურიდან. ასოცირებულ პირთან გაფორმებული კონტრაქტი შესაძლოა შეწყდეს.

ნებისმიერი ასეთი პირი ასევე დგას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების რისკის ქვეშ. სისხლის სამართლის დანაშაულის ბრალის დადასტურების შემთხვევაში, პირს შეიძლება დაეკისროს ჯარიმა ან/და შეეფარდოს პატიმრობა. სასამართლომ ასევე შესაძლოა დააკისროს ფინანსური ზარალის ანაზღაურება.

**რა გავლენას ახდენს კორუფცია ჯგუფში შემავალ კომპანიებზე?**

თუ თანამშრომელი ან ასოცირებული პირი ჩართულია კორუფციაში, კომპანიის (ან ჯგუფში შემავალი კომპანიის) რეპუტაციას შესაძლოა მიადგეს მწვავე ზიანი.

ამასთან, კომპანია შეიძლება დადგეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის რისკის ქვეშ. ჩეხეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობით, კომპანიას შესაძლოა დაეკისროს ფინანსური ჯარიმა 1.5 მილიარდი ჩეხური კრონის (დაახლოებით 95 მილიონი აშშ დოლარის) ოდენობით, ან/და აკრძალვა შემდეგზე:

- საქმიანობის წარმოება;
- ტენდერებში მონაწილეობა ან კონტრაქტების შესრულება; ან/და
- გრანტების და სუბსიდიების მიღება.

სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლოა იყოს საჯარო, რაც შესაბამისად გამოიწვევს მწვავე რეპუტაციულ ზიანს. უკიდურეს შემთხვევებში, ჩეხეთის რესპუბლიკის სასამართლომ შესაძლოა გამოიტანოს კომპანიის ლიკვიდაციის გადაწყვეტილება.

## დანართი 2

### ფულის გათეთრების ინდიკატორები

არ არსებობს ამომწურავი სია შემთხვევებისა, რომლებიც მიუთითებენ ფულის გათეთრებაზე, ან სცენარებისა, რომლებიც შესაძლოა ჩაითვალოს საეჭვოდ, ფულის გათეთრების კუთხით. ქვემოთ მოცემულია ფულის გათეთრების სადემონსტრაციო ხასიათის (არა ამომწურავი) მაგალითები:

- ტრანზაქციას არ აქვს აშკარა გამოხატული მიზანი, არ აქვს აშკარა ეკონომიკური აზრი, ან ხორციელდება უჩვეულო (არასტანდარტულ) პირობებში;
- ტრანზაქცია მოთხოვნილია დასაბუთებული განმარტების გარეშე, არ არის საქონლის და მომსახურებების სტანდარტული შესყიდვის ფორმატში, რომელიც ჩვეულებრივ საჭიროა ჯგუფისთვის, ან არ შედის ჯგუფის საქმიანობის და გამოცდილების სფეროში;
- დამკვეთი ან ბიზნეს პარტნიორი უარს ამბობს წარმოადგინოს ტრანზაქციის მიზანთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- დამკვეთის ან ბიზნეს პარტნიორის მესაკუთრეობის სტრუქტურა უჩვეულო ან ზედმეტად კომპლექსურია, კომპანიის ბიზნესთან მიმართებაში;
- დამკვეთი ან ბიზნეს პარტნიორი თავს არიდებს პირისპირ კონტაქტს, ან ახორციელებს ტრანზაქციას დაცვის საშუალებების გარეშე, როგორცაა ელექტრონული ხელმოწერები;
- დამკვეთი ან ბიზნეს პარტნიორი ინტენსიურად იყენებს ოფშორულ ანგარიშებს, კომპანიებს, ან სტრუქტურებს ისეთ გარემოებაში, რომელშიც დამკვეთს ან ბიზნეს პარტნიორს არ ჭირდება მათი გამოყენება; ან/და
- დამკვეთი ან ბიზნეს პარტნიორი მდებარეობს ქვეყანაში, რომელიც ევროკომისიის მიერ მიჩნეულია ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სუსტი სისტემების მქონედ და ტერორიზმის დამფინანსებლად.<sup>4</sup>

თანამშრომლებმა და ასოცირებულმა პირებმა უნდა გააანალიზონ და დაადგინონ, არსებობს თუ არა სხვა მიზეზები, რომლებიც იწვევენ ფულის გათეთრების ეჭვს, დამკვეთთან ან ბიზნეს პარტნიორთან ტრანზაქციის კუთხით.

თუ ტრანზაქცია იწვევს ფულის გათეთრების ეჭვს, თანამშრომელს შეუძლია კონსულტაცია გაიაროს ჯგუფში შემავალი კომპანიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსთან (ან მთავარ იურისტთან).

<sup>4</sup> 2019 წლის 13 თებერვალს ევროკომისიამ დაამტკიცა ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სუსტი სისტემების მქონე და ტერორიზმის დამფინანსებელი ქვეყნების სია. სიაში შედის: ავღანეთი, ამერიკის სამოა, ზაჰამის კუნძულები, ბოცვანა, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ეთიოპია, განა, გუამი, ირანი, ერაყი, ლიბია, ნიგერია, პაკისტანი, პანამა, პურტო რიკო, სამოა, საუდის არაბეთი, შრი ლანკა, სირია, ტრინიდადი და ტობაკო, ტუნისი, აშშ-ს ვირჯინის კუნძულები და იემენი.

### დანართი 3 პოლიტიკის გაცნობის დადასტურების ფორმა

მე, ქვემოთ ხელისმომწერი [სახელი]  
[ვმოქმედებ რა [კომპანიის] სახელით, როგორც მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი]\*

ვაცხადებ, რომ :

- გავეცანი ENERGO-PRO a.s.-ის და ჯგუფში შემავალი კომპანიების (“ჯგუფი”) კორუფციის და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკას (“პოლიტიკა”).
- გავეცანი პოლიტიკის მოთხოვნებს.
- ვალდებულებას ვიღებ დავიცვა პოლიტიკის მოთხოვნები [და ვუზრუნველყო [კომპანიის] მენეჯერების (მათ შორის დირექტორების და სხვა მოხელეების), თანამშრომლების და სხვა კოლეგების მიერ პოლიტიკის მოთხოვნების დაცვა].\*
- ჩემთვის გასაგებია, რომ პოლიტიკის მოთხოვნების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს დისციპლინარული ზომები ან სამსახურიდან გათავისუფლება მენეჯერებისთვის (მათ შორის დირექტორებისთვის და სხვა მოხელეებისთვის), თანამშრომლებისთვის და სხვა კოლეგებისთვის) ან/და საფუძველი კონტრაქტის შეწყვეტისთვის (ბიზნეს პარტნიორებისთვის).

თანახმა ვარ ჯგუფში შემავალმა კომპანიებმა დაამუშაონ ჩემი პერსონალური მონაცემები, თუ ნებისმიერ დროს ჩართული ვიქნები დარღვევების დაფიქსირების პროცესში, ან პროცედურაში, რომლის მიზანია დარღვევის არსებობის გამოვლენა.

[ადგილი] [თარიღი] [სახელი, გვარი]

\* წაშალეთ საჭიროებისამებრ

#### დანართი 4

### საჩუქრების და წარმომადგენლობითი ხარჯების კატეგორიზაცია

#### საჩუქრები ან წარმომადგენლობითი ხარჯები თანამშრომლისთვის ან ასოცირებული პირისთვის (შეთავაზება ან მიღება)

თანამშრომელი და ასოცირებული პირი ვალდებულია ზემდგომს (ან კონტრაქტით გათვალისწინებულ საკონტაქტო პირს) აცნობოს საჩუქრის მიღების შესახებ, რომლის ღირებულება აღემატება 75 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში), ან წარმომადგენლობითი ხარჯის შესახებ (გადახდილი მესამე მხარის მიერ) რომლის ღირებულება აღემატება 75 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში).

თანამშრომელი და ასოცირებული პირი ვალდებულია ზემდგომისგან (ან კონტრაქტით გათვალისწინებული საკონტაქტო პირისგან) აიღოს ნებართვა საჩუქრის მიღებაზე, რომლის ღირებულება აღემატება 150 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში), ან წარმომადგენლობითი ხარჯის მიღებაზე (გადახდილი მესამე მხარის მიერ) რომლის ღირებულება აღემატება 150 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში).

თუ ზემდგომი (ან კონტრაქტით გათვალისწინებული საკონტაქტო პირი) არ გასცემს ნებართვას შეთავაზებულ ან გაცემულ საჩუქარზე ან წარმომადგენლობით ხარჯზე (გადახდილი მესამე მხარის მიერ) რომლის ღირებულება თითოეულ შემთხვევაში აღემატება 150 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში), აღნიშნულ საჩუქარზე და წარმომადგენლობით ხარჯზე თანამშრომელმა ან ასოცირებულმა პირმა უნდა თქვას უარი. ასეთ შემთხვევებში, უკვე მიღებული საჩუქარი უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს ზემდგომს (ან კონტრაქტით გათვალისწინებულ საკონტაქტო პირს) შემდგომი საქველმოქმედო მიზნებისთვის.

თუ თანამშრომელს ან ასოცირებულ პირს შესთავაზებენ საჩუქარს ან წარმომადგენლობით ხარჯს, რომლის ღირებულება აღემატება 300 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში), ასეთ საჩუქარზე და წარმომადგენლობით ნივთზე უარი უნდა ითქვას. ასეთ შემთხვევებში, უკვე მიღებული საჩუქარი უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს ზემდგომს (ან კონტრაქტით გათვალისწინებულ საკონტაქტო პირს) შემდგომი საქველმოქმედო მიზნებისთვის. კონკრეტულ შემთხვევებში, გარემოებებიდან გამომდინარე, ზემდგომს (ან კონტრაქტით გათვალისწინებულ საკონტაქტო პირს) შეუძლია დაუშვას წერილობითი გამონაკლისი და თანამშრომელს ან ასოცირებულ პირს მისცეს უფლება მიიღოს და დაიტოვოს საჩუქარი.

#### საჩუქარი ან წარმომადგენლობითი ხარჯი მესამე მხარისთვის (შეთავაზებული ან გადაცემული)

თანამშრომელი და ასოცირებული პირი ვალდებულია ზემდგომს (ან კონტრაქტით გათვალისწინებულ საკონტაქტო პირს) აცნობოს საჩუქრის გაცემის შესახებ (გადახდილი ჯგუფში შემავალი კომპანიის მიერ), რომლის ღირებულება აღემატება 75 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში).

თანამშრომელი და ასოცირებული პირი ვალდებულია ზემდგომისგან (ან კონტრაქტით გათვალისწინებული საკონტაქტო პირისგან) აიღოს ნებართვა მესამე მხარისთვის საჩუქრის გადაცემაზე (გადახდილი ჯგუფში შემავალი კომპანიის მიერ), რომლის ღირებულება აღემატება 150 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში).

თანამშრომელს ან ასოცირებულ წევრს არ აქვს უფლება შესთავაზოს ან გადასცეს საჩუქარი, ან წარმომადგენლობითი ხარჯი მესამე მხარეს (გადახდილი ჯგუფში შემავალი კომპანიის მიერ) რომლის ღირებულება აღემატება 300 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში). კონკრეტულ შემთხვევებში, გარემოებებიდან გამომდინარე, ზემდგომს (ან კონტრაქტით გათვალისწინებულ საკონტაქტო პირს) შეუძლია დაუშვას წერილობითი გამონაკლისი და თანამშრომელს ან ასოცირებულ პირს მისცეს უფლება შესთავაზოს ან გადასცეს საჩუქარი.

### **მოხსენების და ნებართვის მოთხოვნის დამტკიცების ფორმა**

ზემოაღნიშნულ შემთხვევებზე მოხსენების ან ზემდგომის (ან კონტრაქტით გათვალისწინებული საკონტაქტო პირის) ნებართვის მოთხოვნის ფორმა მოცემულია მომდევნო დანართში. ფორმა წარმოდგენილ უნდა იქნას ელ. ფოსტით, ან ჯგუფის შიდა ინფორმაციის გაცვლის პროგრამით (შექმნის შემდეგ).

ნებართვის გაცემის გადაწყვეტილების მიღებისას, ზემდგომმა (ან კონტრაქტით გათვალისწინებულმა საკონტაქტო პირმა) უნდა გაითვალისწინოს:

- შეთავაზებული საჩუქრის ან წარმომადგენლობითი ხარჯის დასაბუთება:
  - ბიზნეს კონტაქტების დამყარება ან შენარჩუნება;
  - ჯგუფში შემავალი კომპანიის იმიჯზე და რეპუტაციაზე ზრუნვა; ან
  - ჯგუფში შემავალი კომპანიის საქონლის ან მომსახურებების რეკლამირება;
- ვისთვის ხდება საჩუქრის შეთავაზება/გადაცემა, ან ვისგანაც ხდება საჩუქრის მიღება;
- ამ პირებთან ასოცირებული ნებისმიერი სხვა პირის ვინაობა; და
- საჩუქრის შეთავაზების ან გადაცემის გარემოებები და დრო, კერძოდ:
  - მიმდინარეობს ან დაგეგმილია ჯგუფში შემავალი რომელიმე კომპანიის ტენდერი ან მსგავსი პროცესი, რომელშიც მონაწილეობს შემთავაზებელი;
  - მიმდინარეობს ან დაგეგმილია შემთავაზებლის ტენდერი ან მსგავსი პროცესი, რომელშიც მონაწილეობს ჯგუფში შემავალი რომელიმე კომპანია; და
- ზემოაღნიშნული პირებისთვის ადრე მოხდა საჩუქრის გადაცემა, ან მათგან მიღება.

## N 4 დანართის დამატება მოხსენების და ნებართვის მოთხოვნის ფორმა

1. თქვენი მონაცემები:

თანამდებობა / სამუშაო ადგილი:

სახელი:

გვარი:

ელ. ფოსტა (სამსახურებრივი):

ტელეფონი (სამსახურებრივი):

გარემოებებიდან გამომდინარე, იმის მიხედვით, მოხდა თუ არა საჩუქრის თქვენთვის შეთავაზება ან თქვენს მიერ მიღება, ან თქვენს მიერ შეთავაზება და გადაცემა, გთხოვთ მიუთითოთ შესაბამისი ინფორმაცია.

2. [მოგახსენებთ, რომ მივიღე:

- საჩუქარი, [რა სახის]
- წარმომადგენლობითი ხარჯი [რა სახის? (მგზავრობა, განთავსება ან კვება)]
- საჩუქარი, რომელიც გადმომეცა (ან გადმომეცემა) [როდის?]

გთხოვთ თანხმობას, რათა:

- სხვა პირისგან მივიღო შეთავაზება:
  - საჩუქრის [რა სახის]
  - წარმომადგენლობითი ხარჯი [რა სახის? (მგზავრობა, განთავსება ან კვება)]
  - რომელიც უნდა შემომთავაზონ ან გადმომეცნ [როდის]
- შევთავაზო ან გადავცე
  - საჩუქარი [რა სახის?]
  - წარმომადგენლობითი ხარჯი [რა სახის? (მგზავრობა, განთავსება ან კვება)]
  - უნდა შევთავაზო ან გადავცე [როდის?]

\* წაშალეთ საჭიროებისამებრ

- საერთო ღირებულება [მიუთითეთ]
- ერთეულის ღირებულება (ერთ კაცზე) [მიუთითეთ]

3. მონაცემები:

- ვინ შესთავაზა საჩუქარი? [შეავსეთ]
- ვის შესთავაზეს საჩუქარი? [შეავსეთ]

4. მესამე მხარესთან დაკავშირებული ან ასოცირებული პირის ვინაობა

- [შეავსეთ]

5. შეთავაზებული ან ფაქტიური საჩუქრის დასაბუთება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

- ბიზნეს კონტაქტების შექმნა ან შენარჩუნება
- ჯგუფში შემავალი კომპანიის იმიჯზე და რეპუტაციაზე ზრუნვა
- ჯგუფში შემავალი კომპანიის საქონლის ან მომსახურებების რეკლამირება
- სხვა [მიუთითეთ]



6. წარსულში, ზემოაღნიშნულ მესამე მხარესთან, ასოცირებულ ან დაკავშირებულ პირთან მიმართებაში:

- შეგითავაზებიათ ან გადაგიციათ საჩუქარი? (გთხოვთ მონიშნოთ შესაბამისი უჯრა)

კი

არა

- შემოგთავაზეს ან მიიღეთ საჩუქარი? (გთხოვთ მონიშნოთ შესაბამისი უჯრა)

კი

არა

- რომელიმე კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ დეტალები

[შეავსეთ]

7. წარსულში, ზემოთ მითითებულმა მესამე მხარემ, ასოცირებულმა ან დაკავშირებულმა პირმა, თქვენთან მიმართებაში:

- შემოგთავაზათ ან გადმოგცათ საჩუქარი? (გთხოვთ მონიშნოთ შესაბამისი უჯრა)

კი

არა

- შესთავაზეს ან გადაეცა თუ არა საჩუქარი? (გთხოვთ მონიშნოთ შესაბამისი უჯრა)

კი

არა

- რომელიმე კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ დეტალები

[მიუთითეთ]

8. დამატებითი ინფორმაცია

- [შეავსეთ]

[ადგილი] [თარიღი] [სახელი, გვარი]

## დანართი 5 დარღვევების დაფიქსირების პროცედურა

### დარღვევის დაფიქსირების ვალდებულება

თანამშრომლები და ასოცირებული პირები ვალდებული არიან დააფიქსირონ ნებისმიერი დარღვევა, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს კორუფციის ან ფულის გათეთრების ფაქტს. დარღვევის დაფიქსირებას ზოგჯერ ეწოდება „სასტვენის ჩაბერვა“. ჯგუფი სრულად მხარს უჭერს დარღვევის დაფიქსირებას ამ დოკუმენტში მოცემული პრინციპების და პროცედურების შესაბამისად.

განცხადება წარმოდგენილ უნდა იქნას ფაქტების საფუძველზე, რომლებიც რეალურად ცნობილია დარღვევის დამფიქსირებელი პირისთვის. ინფორმაცია უნდა დაფიქსირდეს კეთილსინდისიერად, არა ვინმეს სასარგებლოდ, ან ვინმესთვის ზიანის მისაყენებლად.

განცხადებას შეძლებისდაგვარად უნდა ახლდეს დამადასტურებელი დოკუმენტები ან სხვა მონაცემები. თუმცა, აუცილებელი არ არის იმ დოკუმენტაციის ან სხვა მონაცემების აქტიურად მოძიება, რომლებიც არ არის ხელმისაწვდომი დარღვევის დამფიქსირებელი პირისთვის.

განცხადება წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთმოცემულ დანართში დაფიქსირებულ ფორმატში და გაიგზავნოს ელ. ფოსტით, ან ჯგუფის შიდა ელექტრონული პროგრამით (შექმნის შემდეგ).

### ვის ეგზავნება განცხადება

თანამშრომელი ვალდებულია დარღვევის შესახებ აცნობოს:

- ადგილობრივი ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსს (ან, კომპანიის ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსს); ან
- თუ ეჭვობს, რომ მისი ზემდგომი მონაწილეობს დარღვევაში, ან თუ განცხადებაზე რეაგირება არ ხდება 14 დღის განმავლობაში - კომპანიის ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსს.

ასოცირებული პირი ვალდებულია დარღვევის შესახებ აცნობოს:

- ასოცირებულ პირსა და ჯგუფის შესაბამის კომპანიას შორის გაფორმებულ კონტრაქტში დაფიქსირებულ საკონტაქტო პირს; ან
- თუ ეჭვობს, რომ საკონტაქტო პირი მონაწილეობს დარღვევაში, ან თუ განცხადებაზე რეაგირება არ ხდება 14 დღის განმავლობაში - კომპანიის მთავარ იურისტს.

განცხადებების მოკვლევა ხდება N6 დანართში მოცემული პროცედურის შესაბამისად.

განცხადებების მიმღები პირები დაადგენენ, საჭიროა თუ არა გარე მარეგულირებელი ორგანოების ინფორმირება და საჭიროებისამებრ შეადგენენ მოხსენებას ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ გამოვლინდება, რომ მომხდარი ფაქტი საჭიროებს სხვა ორგანოების ინფორმირებას.

შესაბამისი საგამოძიებო ან სხვა ორგანოების სავალდებულო ინფორმირება, ან ნებაყოფლობითი ინფორმირება საკუთარ დარღვევაზე, ხდება ჯგუფში შემავალ კომპანიებზე გავრცელებული ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.

**დარღვევის დამაფიქსირებელი პირის უფლებები და მოვალეობები**

დარღვევის დაფიქსირებისას უმკაცრესადაა დაცული კონფიდენციალურობა. დარღვევის დაფიქსირება არ ახდენს გავლენას თანამშრომლის დასაქმების პირობებზე, ან ასოცირებული პირის საკონტრაქტო ან კომერციულ მდგომარეობაზე. დაუშვებელია დარღვევის დამაფიქსირებლის რაიმე ფორმით უსამართლო მოპყრობა. რომელიმე თანამშრომლის ან ასოცირებული პირის მიერ მსგავსი დაუშვებელი ქმედება ჩაითვლება დისციპლინარულ დარღვევად და საქმიანი ურთიერთობის სერიოზულ პრობლემად.

მოკვლევის პროცედურების დასრულებამდე, დარღვევის დამაფიქსირებელ პირს არ აქვს უფლება გაუმჟღავნოს დარღვევა რომელიმე პირს ჯგუფის შიგნით ან გარეთ, მათ შორის მედიას. თანამშრომლის ან ასოცირებული პირის მიერ ინფორმაციის გამჟღავნება ჩაითვლება დისციპლინარულ დარღვევად საქმიანი ურთიერთობის სერიოზულ პრობლემად.

## N5 დანართის დამატება დარღვევის დაფიქსირების ფორმა

### თქვენი მონაცემები

თანამდებობა / სამუშაო ადგილი:

სახელი:

გვარი:

ელ. ფოსტა (სამსახურებრივი ან პირადი):

ტელეფონი (სამსახურებრივი ან პირადი):

### სავარაუდო დარღვევა

გთხოვთ მიუთითოთ (თუ თქვენთვის ცნობილია) შემდეგი ინფორმაცია:

- რაში მდგომარეობდა სავარაუდო დარღვევა (რომელიც შეიძლება ჩაითვალოს კორუფციად ან ფულის გათეთრებად), სად და როდის მოხდა? [მიუთითეთ]
- ვინ ან რომელი კომპანიები მონაწილეობდნენ სავარაუდო დარღვევაში და ვინ მიიღო, ან შესაძლოა მიიღოს სარგებელი? [მიუთითეთ]
- მიიღო თუ არა ფინანსური ზარალი რომელიმე პირმა ან ჯგუფის წევრმა კომპანიამ? დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა თანხის დანაკარგს ან ზარალს ქონდა ადგილი? [მიუთითეთ]
- გაქვთ თუ არა დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სხვა მონაცემები? [მიუთითეთ]
- როგორ შეიტყვეთ სავარაუდო დარღვევის შესახებ? პირადად შეესწარით ფაქტს ან საუბარს? დადებითი პასუხის შემთხვევაში, როდის და სად? სხვა პირისგან შეიტყვეთ დარღვევის შესახებ? ვისგან? [მიუთითეთ]
- თქვენი აზრით, კიდევ რა გარემოებები / ინფორმაცია მიუთითებს შესაძლო დარღვევაზე? [მიუთითეთ]

მიუთითეთ თქვენი თანამდებობა განცხადების წარდგენისას (გთხოვთ მონიშნოთ შესაბამისი უჯრები):

- თანამშრომელი
- ასოცირებული პირი
- დამრღვევი (მარტო მოქმედი)
- დამრღვევი (მოქმედი სხვებთან ერთად)
- დაზარალებული (მარტო)
- დაზარალებული (სხვებთან ერთად)
- კონკურენტი
- სხვა

### მტკიცებულება

გთხოვთ მიუთითოთ, გაქვთ თუ არა შესაძლო დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტები ან სხვა მონაცემები (მონიშნეთ შესაბამისი უჯრები):

- არ მაქვს დოკუმენტები ან სხვა მტკიცებულება
- მაქვს ამობეჭდილი დოკუმენტები
- მაქვს ელექტრონული დოკუმენტები
- მაქვს სხვა ამობეჭდილი მტკიცებულება
- მაქვს სხვა ელექტრონული მტკიცებულება

## **დანართი 6**

### **შიდა მოკვლევის პროცედურა**

ჯგუფში შემავალი რომელიმე კომპანიის თანამშრომლის ან ასოცირებული პირის განცხადების (შესაძლოა დარღვევის შესახებ) მიღების შემთხვევაში, იწყება შიდა მოკვლევის ქვემოთმოცემული პროცედურა.

#### **დარღვევის შესახებ განცხადების მიღება და საწყისი შემოწმება**

განცხადების საწყის შემოწმებას ახდენს N5 დანართში მითითებული მიმღები პირი. თუ ჯგუფში შემავალ კომპანიაში მოქმედებს შიდა აუდიტის დეპარტამენტი, განცხადების წინასწარ განხილვას და ქვემოთმოცემულ სხვა ღონისძიებებს განახორციელებს ეს დეპარტამენტი.

განცხადები მიმღები, უმიზეზო დაყოვნების გარეშე და ნებისმიერ შემთხვევაში განცხადების მიღებიდან 14 დღის განმავლობაში:

- დაადგენს, წარმოდგენილია თუ არა შემდეგი ინფორმაცია:
  - ვის ეხება განცხადება (თანამშრომელს, ასოცირებულ პირს ან სხვას);
  - სად და როდის ქონდა ადგილი შესაძლო დარღვევას;
  - შესაძლო დარღვევის გარემოებები (ჯგუფის ბიზნეს საქმიანობასთან მიმართებაში);
  - აქვს თუ არა განცხადების ავტორს განცხადებაში დაფიქსირებული დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტები, ან სხვა მონაცემები; და
  - აფიქსირებს თუ არა განმცხადებელი ინფორმაციის წყაროს;
- მოითხოვს დამხმარე ინფორმაციას თუ გამოვლინდება, რომ დამატებით წარმოსადგენია განცხადების ფორმით მოთხოვნილი ან ზემოთჩამოთვლილი ინფორმაცია;
- მოითხოვს განმცხადებლის მიერ განცხადებაში მითითებულ დოკუმენტაციას ან სხვა მონაცემებს (თუ არ არის თანდართული);
- დაადგენს, ხომ არ მოხდა განცხადების დაწერა ცუდი განზრახვით, განმცხადებელსა და განცხადების ადრესატს შორის არსებული ურთიერთობის გამო;
- შეამოწმებს განცხადების, თანმხლები დოკუმენტაციის და მონაცემების სანდოობას და ალბათობას, რომ ადგილი ქონდა დარღვევას; და
- გამოავლენს სხვა პირებს, რომლებიც შესაძლოა შეესწრნენ განცხადებაში დაფიქსირებულ შემთხვევას.

#### **შიდა მოკვლევის ჩატარების გადაწყვეტილება**

განცხადების წინასწარი შეფასების საფუძველზე, განცხადების მიმღები ობიექტურად და კეთილსინდისიერად გადაწყვეტს, ჩატარდეს თუ არა შიდა მოკვლევა. განცხადების მიმღებმა განმცხადებელს ამის შესახებ უნდა აცნობოს ელ. ფოსტით (განცხადებაში მითითებულ მისამართზე) ან ჯგუფის შიდა ელექტრონული პროგრამით (შექმნის შემდეგ), განცხადების მიღებიდან 14 დღის განმავლობაში. თუ გადაწყდება, რომ შიდა მოკვლევა არ უნდა ჩატარდეს, განცხადების მიმღებმა უნდა განმარტოს ამ გადაწყვეტილების მიზეზი.

შიდა მოკვლევის ჩატარების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, განცხადების მიმღები განცხადებას და წინასწარ შემოწმებას, დამატებით მტკიცებულებებთან ერთად, უგზავნის ჯგუფში შემავალი შესაბამისი კომპანიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსს (ან კომპანიის მთავარ იურისტს).

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, ობიექტურად და კეთილსინდისიერად დაადასტურებს შიდა მოკვლევის ჩატარების საჭიროებას, ან გააუქმებს ამ გადაწყვეტილებას, რის შესახებაც განმცხადებელ მხარეს აცნობებს ელ. ფოსტით (განცხადებაში მითითებულ მისამართზე) ან ჯგუფის შიდა ელექტრონული პროგრამით (შექმნის შემდეგ), განცხადების პირველად მიღების თარიღიდან 28 დღის განმავლობაში.

თუ განცხადების თავდაპირველი მიმღები, ან ზემოთმოცემულ პუნქტში დაფიქსირებული პირი გადაწყვეტს, რომ შიდა მოკვლევა არ უნდა ჩატარდეს, განმცხადებელ მხარეს შეუძლია საჩივრით მიმართოს დირექტორთა საბჭოს (ან ჯგუფში შემავალი კომპანიის დირექტორს ან სხვა მოხელეს), საფუძვლიანი მიზეზების და შინაარსის დაფიქსირებით. დირექტორთა საბჭო (ან დირექტორი ან სხვა მოხელე) ობიექტურად და კეთილსინდისიერად ელ. ფოსტით აცნობებს განმცხადებელ მხარეს (განცხადებაში მითითებულ მისამართზე) ან ჯგუფის შიდა ელექტრონული პროგრამით, საჩივრის მიღებიდან 14 დღის განმავლობაში, რომ შიდა მოკვლევის არჩატარების გადაწყვეტილება დადასტურებულია, ან ეს გადაწყვეტილება გაუქმებულია და ჩატარდება შიდა მოკვლევა.

თუ განცხადების მიხედვით დარღვევა ჩადენილია დირექტორთა საბჭოს რომელიმე წევრის მიერ (ან ჯგუფში შემავალი რომელიმე კომპანიის დირექტორის ან სხვა მოხელის მიერ), განცხადების თავდაპირველად მიმღების მიერ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს საზედამხედველო საბჭოს (ან ჯგუფში შემავალი კომპანიის საზედამხედველო ორგანოს) და მთავარ იურისტს, რათა მათ განსაზღვრონ, საკითხის შესახებ უნდა ეცნობოს თუ არა კომპანიის ბენეფიციარ აქციონერს.

თუ განცხადების მიხედვით დარღვევა ჩადენილია საზედამხედველო საბჭოს რომელიმე წევრის მიერ (ან ჯგუფში შემავალი რომელიმე კომპანიის საზედამხედველო ორგანოს მიერ), განცხადების თავდაპირველად მიმღების მიერ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს დირექტორთა საბჭოს (ან ჯგუფში შემავალი კომპანიის დირექტორს ან სხვა მოხელეს) და მთავარ იურისტს, რათა მათ განსაზღვრონ, საკითხის შესახებ უნდა ეცნობოს თუ არა კომპანიის ბენეფიციარ აქციონერს.

### **მოკვლევის კომისიის შექმნა**

შიდა მოკვლევის ჩატარების გადაწყვეტილების შემთხვევაში, ჯგუფში შემავალი შესაბამისი კომპანიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი (ან კომპანიის მთავარი იურისტი) დაუყოვნებლივ:

- შექმნის მოკვლევის კომისიას, რომელშიც შედიან შიდა აუდიტის განყოფილების წარმომადგენელი (თუ არსებობს), იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელი (თუ არსებობს), ადამიანური რესურსების დეპარტამენტის წარმომადგენელი (ასახელებს ადგილობრივი ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი) და ჯგუფის შესაბამისი ბიზნესის კომპონენტის ხელმძღვანელი პირი; და
- ჩაატარებს დარღვევის ფაქტიურ ან სავარაუდო სამომავლო ზეგავლენის საწყის ანალიზს და დაადგენს, მოქმედი კანონმდებლობით საჭიროა თუ არა დარღვევის შესახებ ეცნობოს შესაბამის სამსახურებს.

თუ მოქმედი კანონმდებლობით საჭიროა დარღვევის შესახებ ეცნობოს შესაბამის სამსახურებს, ჯგუფში შემავალი შესაბამისი კომპანიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი (ან კომპანიის მთავარი იურისტი) ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს დირექტორთა საბჭოს (ან ჯგუფში

შემავალი კომპანიის დირექტორს ან სხვა მოხელეს) და მოამზადებს მოხსენებას ან, თუ ამის უფლებამოსილება არ გააჩნია, მოითხოვს, რომ სასწრაფო წესით მოხსენება მოამზადოს დირექტორთა საბჭომ (ან ჯგუფში შემავალი კომპანიის დირექტორმა ან მოხელემ).

### **შიდა მოკვლევის ორგანიზება და მიმდინარეობა**

შიდა მოკვლევის ჩასატარებლად ზემოაღნიშნული წესით შექმნილი კომისია დაუყოვნებლივ:

- დაადგენს შიდა მოკვლევის ფარგლებში:
  - ჯგუფში შემავალ კომპანიებს, რომლებზეც გავლენას ახდენს დარღვევა;
  - დარღვევაში სავარაუდოდ მონაწილე მხარეებს (თანამდებობა, სამართლებრივი და ფაქტიური კავშირი შესაბამის ჯგუფში შემავალ კომპანიასთან, პოზიცია ორგანიზაციაში, უფლებები, ფუნქციები და მოვალეობები);
  - რა სახის დოკუმენტების (მათ შორის ელექტრონული დოკუმენტების, სხვა მონაცემების ან მტკიცებულებების) ანალიზი უნდა მოხდეს და სად მდებარეობს ეს დოკუმენტები;
  - ჯგუფში შემავალ კომპანიაში ვისთვის შეიძლება იყოს ცნობილი დარღვევის შესახებ; და
- საჭიროების შემთხვევაში, შეარჩევს და დაავალებს გარე იურისტს ან სასამართლო აუდიტორს, მოაგროვოს დამატებითი ინფორმაცია და მტკიცებულებები და დახმარება გაუწიოს შიდა მოკვლევაში.

ამასთან, მოკვლევის კომისია დაუყოვნებლივ მიმართავს შემდეგ ზომებს:

- დოკუმენტაციის (მათ შორის ელექტრონულის), სხვა მონაცემების და მტკიცებულებების დაცვა;
- ფინანსური ანგარიშგების, მონიტორინგის, თანამშრომლების კორესპონდენციის, ელექტრონული წერილების და სხვა ელექტრონული მესიჯების ინფორმაციის დაცვა;
- თანამშრომლების, ასოცირებული პირების და კონტრაქტის სხვა მხარეების გამოკითხვა, ინფორმაციის ჩანიშვნა და ჩანაწერების გაკეთება; და
- მოპოვებული ინფორმაციის და მტკიცებულებების ანალიზი, რათა დადგინდეს:
  - ქონდა თუ არა ადგილი დარღვევას
  - რაში მდგომარეობდა დარღვევა
  - ვინ მონაწილეობდა
  - როდის და სად მოხდა
  - რა გარემოებებში მოხდა
  - ჯგუფში შემავალი კომპანია ან/და ჯგუფის ბიზნესის ნაწილი, რომელზეც მოხდა გავლენა
  - დარღვევა მოხდა განზრახ, თუ დაუდევრობით; და
  - დარღვევის ფაქტიური ან სავარაუდო სამომავლო ზეგავლენა.

(„ძირითადი საკითხები“)

### **შიდა მოკვლევის ანგარიში**

შიდა მოკვლევის ჩატარების შემდეგ, მოკვლევის კომისია დაუყოვნებლივ მოამზადებს დასკვნას, რომელშიც დააფიქსირებს სამომავლოდ მისაღები ზომების ანალიზს და რეკომენდაციებს.

დასკვნაში მოცემული უნდა იყოს:

- შედეგები თითოეულ ძირითად საკითხზე
- რა ინფორმაცია და მტკიცებულება (განსაკუთრებით დოკუმენტები და სხვა მონაცემები) ამყარებს დასკვნას
- რეკომენდაციები შემდეგ საკითხებზე:

- დარღვევაში გამოვლენილ თანამშრომლებთან მიმართებაში, დისციპლინარული ზომა ან/და დასაქმების შეწყვეტა;
- დარღვევაში გამოვლენილ ასოცირებულ პირებთან და კონტრაქტის სხვა მხარეებთან მიმართებაში, კონტრაქტით გათვალისწინებული ზომები, კონტრაქტის შეწყვეტის ჩათვლით;
- შემოთავაზებული ორგანიზაციული, ტექნიკური, სამართლებრივი ან სხვა ზომები, რომელიც უკავშირდება ჯგუფში შემავალ შესაბამის კომპანიას ან/და ჯგუფის ბიზნესის დაზარალებულ ნაწილს;
- სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც სავარაუდოდ ჩადენილია და შესაბამისი ორგანოების ინფორმირების ვალდებულებები;
- სხვა სამართლებრივი ქმედება, კონკრეტულად დარღვევის ფაქტიური და სავარაუდო სამომავლო ზეგავლენის შესამცირებლად.

დასკვნაში ასევე უნდა დაფიქსირდეს რეკომენდაციები, თუ ვერ დადასტურდა დარღვევის არსებობა, ან ვერ გამოვლინდა დამრღვევი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც დაფიქსირდა მნიშვნელოვანი რისკი.

დასკვნა დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს კომიტეტს, რომელიც დირექტორთა საბჭოს წარუდგენს რეკომენდაციებს შემდგომ მისაღებ ზომებზე.

თუ შიდა მოკვლევა შეეხება დირექტორთა საბჭოს რომელიმე წევრს (ან ჯგუფში შემავალი კომპანიის დირექტორს ან მოხელეს), დასკვნა დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს საზედამხედველო საბჭოს (ან ჯგუფში შემავალი კომპანიის საზედამხედველო ორგანოს), რომელიც სამომავლო ქმედებებზე რეკომენდაციებს წარუდგენს კომპანიის ბენეფიციარ აქციონერს.

თუ შიდა მოკვლევა შეეხება საზედამხედველო საბჭოს რომელიმე წევრს (ან ჯგუფში შემავალი კომპანიის საზედამხედველო ორგანოს), დასკვნა დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს დირექტორთა საბჭოს (ან ჯგუფში შემავალი კომპანიის დირექტორს ან მოხელეს), რომელიც სამომავლო ქმედებებზე რეკომენდაციებს წარუდგენს კომპანიის ბენეფიციარ აქციონერს.



## დანართი 7 მონაცემთა დაცვა

დარღვევის დამფიქსირებელი თანამშრომლების და ასოცირებული პირების, ან დარღვევის გამოსავლენად დაწყებულ წარმოებაში მონაწილე თანამშრომლების და ასოცირებული პირების პერსონალური მონაცემები (მე-5 დანართის შესაბამისად) შეიძლება დამუშავდეს ჯგუფში შემავალი შესაბამისი კომპანიის - როგორც მონაცემთა ადმინისტრატორის მიერ.

მონაცემთა დამუშავების მიზანია დადგინდეს, ქონდა თუ არა ადგილი დარღვევას, განისაზღვროს დარღვევით გამოწვეული რისკი და შემდგომი სამართლებრივი ზომები, მათ შორის კორუფციის და ფულის გათეთრების ფაქტების ინფორმირება სამართალდამცავი ორგანოებისთვის.

ჯგუფში შემავალი შესაბამისი კომპანია მონაცემებს დაამუშავებს მონაცემთა ადმინისტრატორის სამართლებრივად დასაბუთებული ინტერესების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც უპირატესობა ენიჭება მონაცემთა ობიექტის ინტერესებს, ან ფუნდამენტურ უფლებებს და თავისუფლებებს.

პირებს, რომელთა პერსონალური მონაცემები მუშავდება ზემოაღნიშნული წესით, უფლება აქვთ ჯგუფში შემავალ კომპანიას მოთხოვონ დაშვება პერსონალურ მონაცემებზე და შეასწორონ ან წაშალონ მონაცემები, შეზღუდონ მონაცემების დამუშავების მასშტაბი, ან უარი თქვან მონაცემების დამუშავებაზე. აღნიშნული უფლებები ექვემდებარება კანონით დადგენილ შეზღუდვებს. მონაცემთა ობიექტს ასევე უფლება აქვს საჩივრით მიმართოს მარეგულირებელ ორგანოს, რომლის კომპეტენციაშიც შედის პერსონალურ მონაცემთა დაცვა.

დამუშავებული პერსონალური მონაცემები შეიძლება გაეგზავნოს პირებს, რომლებიც ჯგუფში შემავალ კომპანიას უწევს იურიდიულ ან სასამართლო საექსპერტო მომსახურებებს, ან მტკიცებულებების შეგროვების მიზნით, მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად. ევროპის ეკონომიკურ არეალში გენერირებული პერსონალური მონაცემების არეალს გარეთ გავრცელება არ არის ნებადართული.

პერსონალური მონაცემები მუშავდება მარეგულირებელი კანონმდებლობით დასაშვები ან მოთხოვნილი ვადით, ან მოქმედი ვადის ამოწურვამდე.

\*\*\*\*\*